მარხული ადამიანი დავიწყებით თუ მიირთმევს ან დალევს, მან მარხვა გააგრძელოს, რადგან ჭეშმარიტად, მას ალლაჰმა აჭამა და დაალევინა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს რომ, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მარხული ადამიანი დავიწყებით თუ მიირთმევს ან დალევს, მან მარხვა გააგრძელოს, რადგან ჭეშმარიტად, მას ალლაჰმა აჭამა და დაალევინა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ თუ ვინმე შეჭამს ან წყალს დალევს დავიწყებით, სავალდებულო ან ნებაყოფილობითი მარხვის დროს, მან დაასრულოს მარხვა და არ შეწყვიტოს; რადგან მას მარხვის შეწყვეტა არ განუზრახავს, არამედ, ეს არის წყალობა ალლაჰისა, რომელიც მას მიეცა, დააპურა და დაარწყულა ის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4525